სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ოცდაორი წლის ოცდათერთმეტ ოქტომბერს მე, საქართველოს ნოტარიუს მზია არსენაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა/ფშაველას პროსპექტი N90, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **ბიძინა ყიფიანმა** (დაბ: 14.07.1982, პ.N**01010009700** გაცხადებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 1, ბინა 19), მან განაცხადა, რომ როგორც შპს ,,კაპიტალ დეველოფმენთის" დირექტორს სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **ნიკოლოზ სულხანიშვილს** (დაბ: 12.06.1986წ, პN01009018463). **ბიძინა ყიფიანმა** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება თანახმად, **ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B19136851, თარიღი 06/12/2019წ, 09: 38:25** და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

ბიძინა ყიფიანმა (დაბ: 14.07.1982, პ. **01010009700** გაცხადებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 1, ბინა 19), როგორც შპს ,,კაპიტალ დეველოფმენთის" ს/კ402010300 დირექტორი რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მიმნდობი" **ნიკოლოზ სულხანიშვილს** (დაბ: 12.06.1986წ, პ 01009018463), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მინდობილი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია : წარმოადგინოს და დაიცვას ორგანიზაციის ინტერესები , აწარმოოს ნებისმიერი ნებართვის მოთხოვნა/ მიღებასთან/ პროექტირება/ მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები. სახელდობრ; აწარმოოს მოლაპარაკება მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, სსიპ-ებთან, მათ შორის არქიტექტურის სამსახურთან,ზედამხედველობის სამსახურში,ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მუნიციპალიტეტის ინსპექციაში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, საჯარო რეესტრში, , ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, ნებისმიერი მერიის, გამგეობის, საკრებულოს სამსახურებში, იმოქმედოს განაშენიანების რეგულირების გეგმის(გრგ) განხორციელებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს მოცულობითი გენერალური გეგმა , მოახდინოს სამშენებლო პროექტის შეთანხმება საამშენრებლო კომპანიებთან, დრო, კორექტირება, ჩაბარება, ცვლილება , წარდგენა, შეიტანოს განცხადებები ,თანხმობები, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, აზომვითი ნახაზები, ნებართვები, პროექტები, გეგმები,გაზის, ელექტროენერგიის, წყლის, კავშირგაბმულობის, ინტერნეტის, ტელევიზიის, და სხავა ნებისმიერი კომუნიკაციის ტერიტორიულ სამსახურში, აღნიშნული დავალების განხორციელების მიზნით, მიმნდობის სახელით მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც პირდაპირ მითითებულია ან არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით მინიჭებული დავალების შესასრულებლად.

წინამდებარე აქტი გაცემულია სამი წლის ვადით

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე მინდობილობა და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. მინდობილობას, რომელიც რჩება სანოტარო არქივში აქვს დანართი ერთი დოკუმენტი:


ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B19136851, თარიღი 06/12/2019წ, 09: 38:25

სანოტარო მომსახურების ხარჯები:

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 31-ე და 39-ე მუხლებისა გადახდილია სანოტარო საზღაური: 30(ოცდაათი) ლარი, და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 5(ხუთი) ლარი - ჯამში: 35 (ოცდათხუთმეტი)ლარი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი მზია არსენაშვილი



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21605920158522

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221486920

რეგისტრაციის თარიღი

31.10.2022 წ

ნოტარიუსი: მზია არსენაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი. ვაჟა /ფშაველას პროსპექტი N90
ტელეფონი: 574178118

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18